

ხუთშაბათი
1883

1. 11. 1883

მწყამწი



მუ ვა- მუეეში ეთილი: მწეეშმან ეთილმან სული თვისი დაქსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).
 ეპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სინარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).
 მოკედით ჩემდა ყოველნი მასუაღონი და ტვირთ-ჰამენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 5

1883—1895

1—15 მარტს.

გაზაწალა გათხროვა-განი.

მართალია, ჩვენი დროის ქართველებს დიდი სასწელი არა აქვსთ სასოგადო და საქველ-მოქმედო შეწირულების საქმეში, მაგრამ არც ისე დაქვეითებულნი არიან, რომ აქა-იქ საქველ-მოქმედო საქმის გულ-შემატკივარნი არ გვევადნენ. მრავალ გზის არის გამოცხადებული, რომ არავითარი შეწირულება არ მისცენ უცხო ქვეყნიდან მოსულ

ბერ-მონასხონთ და მღვდელთ, რომელთაც, დიდი ხანია, აკრძალული აქვსთ უცხო ქვეყნის ეკკლესიათა და მონასტერთათვის შეწირულების მოკრება. გამოცხადებული იყო მრავალ გზის, რომ თუ საჭიროებამ მოითხოვა იერუსალიმის და ათონის ეკკლესიათა და მონასტერთათვის შეწირულების შეკრება, მაშინ ამ შეწირულების შემკრებნი ჰიბრნი უნდა გამოცხადდენ უწმიდეს სინოდში, აქ უნდა აიღონ ნებართვა შეწირულების მოკრეფასე, თავიანთი ჰასპორტები და საბუთები მათ ვი-

ნაობაზე სინოდში უნდა დასტოვონ და სინოდისაგან უნდა მიიღონ საჭირო ზანჯორები და მოწმობანი. შემდეგ შეწირულების მოკრებისა უნდა გამოცხადდეს კვალადვე სინოდში, წარადგინონ მიცემული საბუთები, მიიღონ თავიანთი უცხოეთიდან მოტანილი საბუთები და წავიდნენ, საიდგანაც მოვიდნენ.

მაგრამ, სამწუხაროდ, არა მიძხედველი ამისთანა მშვენიერი განკარგულების გამოცხადებისა, კიდევ დაეთრევიან ქალაქებში და სოფლებში სხვა და სხვა მაწანწალა მათხოვრები ბეწ.მ.ანასკნები და ძღვედლები, რომელნიც კრებენ შეწირულებას იერუსალიმის და ათონის მონასტრთა და ეკლესიათათვის. ზოგნი განაცხადებენ თურქი, რომ იგინი იერუსალიმის ჰატრიარქიდან არიან გამოგზავნილნი. ერთ ამისთანა მაწანწალა მათხოვარს «მაღაზინის» თოფი გამოუტყუებია სამეგრელოში ერთი ახნაურშიმცილისათვის და მეორესათვის ხანჯალი. ამ მათხოვარს უთხრობია ამ ზირებისათვის, რომ იერუსალიმის ქრისტეს საფლავის ტაძარს „ეარაულები“ ადგანან, ჰატრიარქისაგან მიჩენილნი, მაგრამ ხშირად ესმებინან თავზე ეჩალები და მცველებს კვიხოცავენო. ამისთანა თოფის შეწირვით თქვენ დაინსნით ქრისტეს საფლავს და ჰატრიარქსაო... გულშემატკივარს კაცს შეუწირავს თოფი და წერილიც მიუწერია ჰატრიარქისათვის. ეს წერილი და თოფი თვითონ ამ მათხოვარს მიუღია კასაკსაგანად. სამი კვირის

შემდეგ შექმირველს დიდი მადლობა მიუღია ჰატრიარქისაგან ამ შეწირულებისათვის: ნიადგ ვლოცულობ შენთვის, სწერს ჰატრიარქი ამ წერილში, რადგან მეც და ქრისტეს საფლავსაც დაგვისსნით თავდასხმისაგანო. ამ წერილში ჰატრიარქის სურათიც ეოფილა ჩადებული. მაგრამ წარმოიდგინეთ, წერილი თბილისის ფოსტიდგან ეოფილა გამოგზავნილი და სასე ჰატრიარქისა კი ოდესამი დაბეჭდილი!!.

ამ საცოდნავ შექმირველს ვერ გაუგია კიდევ, რომ ქრისტეს საფლავს ეჩალები ვერ დაესხმიან და ქალაქ იერუსალიმში ის ცარცვა-გლეჯა არ არის, რასაც სხვაგან ვხედავთ...

კიდევ ვიტყვი, საჭიროა ამ გარემოებას, სამღვდულოებამ და ადგილობრითი პოლიციამ ჯეროვანი უურადლება მიაქციონ.

დგა. დ. ლამაზიძე.

ისტორიული და არქეოლოგიური აღწერილობა ჩვენი ზოგიერთი შესანიშნავი ტაძრების და მონასტრებისა.

ანანური სტაძარი.

თუმცა ძრავალი ჩვენი მონასტრები და მათ ტაძრები შესანიშნავი არიან თავისი ისტორიული და არქეოლოგიურის მხრით, მაგრამ ანანური ტაძარი ყველაზე მეტათ საყურადღებოა.

მ წ ყ ე მ ს ი

ო ზ ი ც ი ა ლ უ რ ი ბ ა ნ ე ო ზ ი ლ ე ბ ა .

საქართველოს საექსპორტის სამდღელოების
საცნობელად, სახელმძღვანელოდ და აღსასრუ-
ლებლად.

უწმიდისის სინოდის გუბერნიით, უფლსა იერუ-
სალიმად შესვლის დღესასწაულს დღეს იერუსალიმისა და
წმიდა ადგილის მართლ მადიდებელთა სასარგებლოდ
შესაწყობის ამ რიგად უნდა მოიკრიბოს:

1. მოწოდება ამა შესაწყობის შესახებ და აგრე-
თვე ესე წესები მცხის წარმოებისა უნდა დაიბეჭდოს
ადგილობრივს საეპარქიო უწყებაში.

2. სასულიერო კონსისტორია ამ თავითვე ეპარ-
ქიის უგულვებ ეკლესიაში გამოუგვლივ ჰქაზანის საი-
მბეჭატორო მართლ-მადიდებელ პალესტინის საზოგა-
დობისაგან მიღებულ პაკეტებს ზედწარწერითურთ
შესაწყობის შესახებ თუ შეშებისათვის, მოწოდებანითა,
განცხადებანითა და მოძღვრება-საუბარითურთ და ავალეს
სამდგელოებას უნაკლულოდ აღსასრულოს ესე წესები და
განსაგებებულნი მეტადანება განწიოს შესაწყობის
მოხარებად.

3. მიიღებენ თუ არა ეკლესიაში მოწოდებისა და
მოძღვრება-საუბარითა, მღვდელ-მსახურებმა ღვთის-მსახუ-
რების გარეშე საუბარითა და კათხკით ეკლესიაებსა და
სასწავლებლებში, სადაც იგი დაარსებულა, და აგრეთვე
ქადაგებით ღვთის-მსახურების დროს უნდა განცხადონ
მრველს ამა შესაწყობის საგანი. ამასთან ეკლესიაში
შესვლისათანავე წერა-კითხვის მტოდნე მრველს უნდა

დაუბრუნდეს მოწოდებანი, განცხადებანი და მოძღვრება-
საუბარნი, ამა აზრით წარმოგზავნილნი საზოგადოების
მიერ.

4. შესაწყობის მოკრების დღის ერთის კვირის
წინად ეკლესიის შესსვლელს გარეშედ გარედგან უნდა
გაიკრას მოწოდება საზოგადოებისა შესაწყობის შესახებ.

5. შესაწყობის დღეს სამწუთომ შესაწყობის
საგანი და მნიშვნელობა ზეპირას ქადაგების შემწეობით
უნდა შეატყოს და განცხადოს.

6. თვით შესაწყობა უნდა მოიკრიბოს თუთის
ჩამოტარებით უფლისა იერუსალიმად შესვლის უოკელ
დაღესასწაულის ღვთის მსახურების დროს წიკრავედ—
სახარების წაკითხვის შემდეგ, ხოლო მწუხრისა და
ღისკრის ლოცვაზე—ფსალმუნის წაკითხვის შემდეგ.

7. შესაწყობა უნდა შეპკრიბონ იმ ეკლესიაებში,
სადაც რამდენიმე მღვდელია, — ერთმა მათგანმა. ხოლო
სადაც ერთია — ეკლესიის მნათემ და ან ერთ-ერთმა
საპატრიო მრველთაგანმა.

8. ღვთის-მსახურების დაბოლებისათანავე დაუყო-
ნებლოდ უნდა შესდგეს ოქმი შეკრებილ ფულის შესახებ
მღვდლისა, ეკლესიის მნათეს და რამდენისაჲ საპატრიო
მრველის თანდასწრებით.

9. შეკრებალი ფული ოქმითურთ უნდა წარდგო-
ნოს ბლადონის შემწეობით სინოდის ქართლ კახეთ-
იმერეთის კანტონის, რომელიც წარუგზავნის საიმპე-
რატორო მართლ-მადიდებელ პალესტინის საზოგადოების
საბჭოს, ს. - პეტრებურგს, მოიგავსე, 91.

ჰენსია დაენიშნათ.

უწმიდესის სანადის 1894 წლის 29 დეკემბრის მე-5823 №-ის ბრძანებით ჰენსია დაენიშნათ:

ქართლ-კახეთის ეპარქიაში:
წელიწადში 130 მან.

ეკკლესიის მაცხოვრის ფერის-გვალეების შტატს გაკრეშე მეოფის მღვდელს სიმონ ზედგინიძეს, 1893 წლის 6 დეკემბრიდან ასალისის სამაზრო საზინადგან.

მღვდელთა ქვრივებს წელიწადში 65 მან.

ნაფარეულის უოკლად წმ. ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესიის მღვდლის მიხეილ ჩიქვიძის ქვრივს სიღონის, 1893 წ. 28 დეკემბრიდან თელავის სამაზრო საზინადგან; ჭოტორას უოკლად წმ. ღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდელ-ს სოლომონ მჭედლი-შვილის ქვრივს სოფიოს, 1894 წლის 10 მაისიდან სიღნაღის სამაზრო საზინადგან; ბელაქის ამალეების ეკკლესიის ჰენსია დანიშნული მღვდლის ნიკოლოზ დეკანოზიშვილის ქვრივს ნინოს, 1893 წ. 20 ნოემბრიდან გორის სამაზრო საზინადგან; დაბტმითის უოკლად წმ. ღვთის-მშობლის ეკკლესიის ჰენსია-დანიშნულის მღვდლს მაკარაოზ შიშნიაშვილის ქვრივს სოფიოს, 1893 წ. 13 აგვისტოდან ტფალისის საზინადგან; ასალისის წმ. ნინოს ეკკლესიის ჰენსია-დანიშნულის მღვდლის მოსე კანდელაკის ქვრივს გაიანეს, 1893 წ. 24 ოქტომბრიდან ტფალისის საზინადგან.

იმერეთის ეპარქიაში.

შტატს კარეშე მეოფის მღვდლებს წელიწადში 130 მან.

იგორეთის უოკლად წმ. ღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდელს სპირდონ გორკაძეს, 1894 წლის 31 მაისიდან ქუთაისის საზინადგან; უგალეთის მაცხოვრის

ეკკლესიის მღვდელს გრიგოლ დენსაძეს, 1894 წ. 27 თებერვლიდან ქუთაისის საზინადგან; სანახშირის ეკკლესიის მღვდელს სოფრონ მალაქელიძეს, 1894 წლის 4 მარტიდან ქუთაისის საზინადგან; შქეშის სამრევლს ეკკლესიის მღვდელს გიორგი ფანიძეს, 1894 წ. 16 იანვრიდან ქუთაისის საზინადგან; ჟვარისუბანის წმ. გიორგის ეკკლესიის შტატს გაკრეშე მეოფის მთავარს ბესარიონ გოგორიანს 65 მან წელიწადში, 1894 წ. 4 მარტიდან ქუთაისის საზინადგან; დილან-ურანი-ეპარქიის სმ. გიორგის ეკკლესიის ჰენსია დანიშნულის მღვდლის ოქროპირე ბებიაშვილას ქვრივს მელანის 65 მან. წელიწადში 1893 წ 14 სექტემბრიდან ქუთაისის საზინადგან.

უმაღლესი ბრძანება.

სეკემწიფე იმპერატორმა, 17 ამა იანვარს, უმაღლესად კეთილი-ინება და დაამტკიცა უწმიდესის სინოდის უქვეშევრდომილესი მოხსენება იმის შესახებ, რომ მისი უოვლად უსამღვდელოესობა სუბუმიის ეპისკოპოსი პეტრე დანიშნულ იქმნას სუბუმიის ეპისკოპოსად, ხარკოვის ეპარქიის ქორეპისკოპოსად.

სეკემწიფე იმპერატორმა, 17-სა ამა იანვარს, უმაღლესად კეთილი-ინება და დაამტკიცა უწმიდესის სინოდის უქვეშევრდომილესი მოხსენება იმის შესახებ, რომ მოსკოვის სტავროპოლიურ წმ. სიმონის მონასტრის წინამძღვარი, არხიმანდრიტო ანტონი დანიშნულ იქმნას სუბუმიის ეპისკოპოსად, ისე-კი, რომ ეპისკოპოსის ხარისხზედ სახელ წოდებულ და ხელ-დასხმულ ს.-პეტერბურგს იყოს.

შისანიშნავი ხელნაწერი.

შექმნისათვის კაცისა.

(გაგრძელება *)

რა სრულ ჰყო სოფლის შემკობა, ვითა მან ზენით ინება, განაწყო სრულად, სთქვა: კეთილ, არა არს საქმის კნინება; წამის ყოფითა განჰკარგა, საქმედ არ მოიწყინება, და კვლავ ჰბრძანა: სახელ ჩვენდაო ექმნეთ კაცის წარმოდგინება.

თქმა ესე ფრიად მაღალი ბრძანა საღმრთომან ნებამან, ინება, ითნო, ითვისა, ნეტარმან მან სავებამან, კაცი ქმნილთა და ცხოველთა მაღალთა მოგონებამან და უფლად და მეფედ განსაზღვრა, ლეთისა ბრძენ ხელოვნებამან.

დიდ არს და მაღალ საღმრთოსა განგების მიწ-თომილება!

ვინ ჰსცნა გონება უფლისა, ვინ ჰყო თან მიდგო-მილება,

ვინ თან ზრახ ექმნას, და სიტყვით ჰყოს მასთან შეწყობილება!

და თუ ენოს მთებსა, სალებსა ჰქმნას ავლად გარ-დაცელილება.

შენ მეუფესა, მაღალთა საყდართა დამკვიდრე-ბულსა,

უსხეულოთა ძალთაგან, ზესთათქმად განდიდებულსა, რისხეასა შინა წყალობის იჩქითად მოსწრაფებულსა, და გთხოვ განხმად თვალთა, გულისა, მცვედ შენდა შევედრე-ბულსა.

ოდეს მაღალმან ნებამან ჰბრძანა კაცისა ქნი-ღება,

მყისთანადობით შეაწყო მისივე მოყვანილობა, მასთან არა არს საჭირო ყოველად ქამისა ცელილობა, და როცა ინებოს იქმნების, ვის ძალუძს მისი ცილება.

მიწა აღიღო ქვეყანით, ყოველისა უმჯობესისა განარჩევით სხვათა მიწათა, სუფთა და უწმინდესისა,

*) იხ. «მწყემსი»-ს № 2 1895 წ.

თიხა შეზალა, შეაწყო, სთქვა კაცის სახე ეს-ისა, და შთაბერა სული ცხოველი, ქმნა საქმე უყუარესისა.

დიდებულ ჰყო სიტყვიერად, განასხვავა ყოველს ქმნილსა,

სული მისცა, მეორეცა, ვითა ჰშენეს სისხლ-ხორც ლობილსა,

აღაყვავა კეთილობით, განაწესა ჰაერს ტუბოლსა და მეფედ ყოველს ცხოველისა, ჰყო სამართავს მას ადგილსა.

ოთხთა ნიუთავან შეზავა, კეთილად განა-შენდა,

სხვა უმთავრესი ნაწილი მათ შორის დააშენადა, უცვლადი, დაუბერები ოთხ მთავრად დაუყენადა, და ვისა არ ძალგეძსთ შეჰყარვა, რა ზამ ჰყო ფრითთა ფრენდა.

დაადგინა მეფედ ზედა მათ ქვეყანისა ცხოველთა, ზღვა ტბათა მდინარეთადა, მთაველოვანთა ყოველთა, ვერა სადა ჰკრძნობთ ქვენათა, მასის ხმას შეუ-პოველთა, და მიმართეს მისგან მათსა სახელისდებოს მათო-ველთა.

რაცა მან დასდვა, მას აქეთ იგვევ სახელებია; აღხედეთ ცისა მნათობთა, ვითარი შეჰკულებია! მისთვის შემზადა ყოველი, რაცა სად შექმნილებია. და ვინათგან ესრედ ჰატევისცა, მართლად არა სძულელებია-

კვლავ სხვა დასდვა განკვირება მას კეთილად ხელით ქმნილსა; გამოუღო გვერდით შემწე, მშენიერი ტუბოლი ტუბილსა,

დაადგინა ორნი ერთად, საუკვლავს ედემს მტილსა, და იშეებდენ და იხარებდენ სამართხისა ხეთა ჩრდალსა;

უწოდა ადამ და ევა, დასედა ეს სახელებია, მამა-კაცს დედა-კაცობის, არა რა დაუკლებია, შემაქცევლად იგინი ურთერთს უახლებია, და უხვევით მისცა სამართხის, ხალთავან საქმელებია.

იხარებდა ქმნილსა ზედა ედემისა დამწერგველი, იგი ორნი რონინებდეს სამართხესა ტანშაშველი, და ჰაზრი ყოველად არა ჰქონდათ ურთერთისა გან-მკაცველი, და ანგელოსებრ ჰტოვებდნან, მექმი იყო მათდა მცველი-

ადამს უბრძანა მცნებითა: «ისმინე ჩემის ნებისა, დაიცვე ესე სჯულეები დათხრობა საზღვრის დებისა; თუ განხვალ ჩემსა მცნებასა, ღრონი გხვდეს შენა-ნებისა, და უკვდავების წილ მიიღო, შემოსა მოკვდავებისა».

ორთავე ერთად იუწყეს, ესე მიცემა სჯულისა, კრძალვით ისმინეს, სწალოდათ სრულ-ყოფა ბრძანებულისა, მათ ხელთა აქენდათ საესებით ყოველი შეება გულისა, და ვერ სცნობდნენ, კმუნეა არ იყო თენიერ სიხარულისა.

აქა ეშმაკისათვის და ცთუნებისა ადამისა.

იგ მეორენი ნათელნი, რომელი დაებადა, აწ წინა სრულმან სიტყვამან, ვინაცა განაცხადა, ერთისა გუნდთა მთავრობამ სხეებრ საქმე განიშხადა, და რომელნი ღირსად ჰაზრისა პატყეს მიეცნენ მსთვადლა.

ჰსცნეს რა თვისა თვისისა ზესთა ხარისხთა დგმულობა, ხაყდრისა ღეთისა წინაშე, გარემო შემორტყმულობა, პირის პირ ღეთისა აქენდათ მათ დიადი მოხარულობა, და მის პირველისა ნათლითა, ჰშვენოდათ აღკაზმულობა.

რა ჰსცნეს თვისი ეგზომ მალლად, პატივითა უაღრესად, განიზრახეს მარხისა თაენი არლა უღარესად; შუისად ექმნათ მოგონება, ნაღელისაცა უმწარესად, და ნათლად ქმნილნი შეიცვალნენ უკუნისა უბნელესად.

საღმრთომან მადლმან მალიად ჰყენა ზეცით გარდმოთხეულად, ზეცისა ძალნი შიშითა შეიქმნენ შეცარყეულად, ყოველნი არსნი ძრწოლიან, იყენენ ჰირებთა ხმეულად, და არა იცოდნენ რა ექმნათ, იტყოდნენ თავსა სნეულად.

მიხაილ, ძალთა მთავარსა, უბრძანა წამის ყოფა მან ერთმა მან ღმერთმან ძლიერმან და ტკიბილმან მისმან ნებამან, ხმა ჰყვა ხმითა ძლიერად, სცნა ყოველთა არსთა მკობამან, ეგნენო თვის თვის წესზედა, მყისთანა იწყო ხმომა მან.

ჰსდგინო, ჰსდგინ შიშითა ღიღისა ღეთისა ძალისა, ისმინეთ არსნო, ისმინეთ, ხმა ჰყოფდა მალის მალითა, აღიდეთ ღმერთი საბაოთ, იგ უხილავი თვალითა, და ეგენი თვისსა წესზედა, ნურდა ხართ ცნობამკრთალითა.

ხმითა მით ყოველი არსობა ეცოო თვისთა წესითა, პირველი დასი დამხო დიდებით უაღრესითა, დაეცა, იქმნა საძულველ, ბრძანება უმაღლესითა, და გარდაიცვალნენ ეშმაკად, განზრახვით უცუღესითა.


ნათელნი იგი საწაღნი იქმნენ საძულველ ბნელობით, მათ ერთთა გუნდთა სიმრავლის ვინც იქმნა აღმრიცხველობით, მთავრითურთ თვისით შეიქმნენ ყოველთაგან საძულველობით, და ღეთისა დიდების ხილვასა მოაკლდენ უკრძალველობით.

განიკუთენეს ჯოჯოხეთი, მას შანა აქესთ ტანჯვით ხილვა, ნათელს ჰშორენ, ბნელსა მყოფთა აქესთ ურთერთის კბენა, ლაღვა, ფსკერსა უფსკრულს წედიად მწარეს საღმრთოს ძალით ექნათ ძალვა. და ბოროტთ მათ რად დავიწყდათ თვისის მბადის შიში კრძალვა!

პირველადვე ბოროტმან მან, შურმან ზეცით გარდმოყარნა. შეიშურეს ღეთისა ღეთობა, ამაღ მიმდებ ბნელმან ჰუარნა, მასვე შურსა არა სთმობენ მათმან კრებამ შეიყვარნა, და თუ ვისი სცნეს კეთილობა რამცა რამან განახარნა.

გასაოცარი სწორეთ ანანურის ციხე-სიმაგრის და ტაძრის ისტორიული მოთხრობა. ეს ადგილია მოწამე საშინელი და შემადრწუნებელი კაცის გულქვაობისა და მხეცური მტარეალობისა. ანანურის ციხე-სიმაგრე სასაფლაოდ გამხდარა მათთვის, ვანც მასში თავ-შეფარებას ფიქრობდა.

სისხლის ღვრა, თავ-დასხმა, აოხრება და ტანჯვა მტერთაგან მრავალი მიდგომია ჩვენი მონასტრის მცხოვრებთა, მაგრამ თავიანთთაგან რომის უბედურება მიდგომოდეს, რაც მიაღვათ ანანურის მკვიდრთა და იქ დამარხულთა, არსად მომხდარა, ვგონებ.



ანანურის ტაძარი.

სოფელი ანანური მდებარეობს ღუშეთიდან ათიკერსის მანძილზედ, აღმოსავლეთით, მდინარე არაგვის პირად. ეს სოფელი მდებარეობს კავკაშში მიმავალ გზატკეცილის მახლობლად. იქ არის სადგურა ფოსტისა ანანურის სახელით. ეს სოფელი დღეს შესდგება სამოციოდ

კომლისაგან. აქ სცხოვრებენ ქართველნი და სომეხნი. ანანური უწინ დღეს დროში არაგვის ერისთავების სამფლობელოს შეადგენდა. არაგვის ერისთავები სხვა და სხვა გვაროვნობიდან მომდინარეობდნენ. ახ ეს

გვაროვნობანი: შაბურძეგები, რომლებიც, იესო-ლიანის სიტყვით, იყენენ სპარსეთის მეფის შაბურის შთამომების, ასსანიდების მეფეთა გვარეულობიდან. ეს შაბურძეგები მოსულან არაგვის სამთავროში 241—420 წლებ შუა; თურმანიძეები და ქარმეულეები, რომელთაც შესამჩნევი ალაგები დაუკავებიათ მეფე ალექსანდრე პირველის დროს, რომელიც მეფობდა 1415—1446 წლამდე; ეილაჯა ვანეთის აზნაური, რომელიც მოხსენებულია საქართველოს ისტორიაში XVI საუკუნეში, და რომელმაც მეფის სიმონის დროს (1558—1600) გასწყვიტა არაგვის უწინდელი მფლობელები და შემდეგ მათი ადგილი დაუკავებია. სიღამონი, რომელიც გამოცხადდა მეფის თეიმურაზის დროს 1724 წლიდან. არაგვის ერისთავების სამფლობელოებს შეადგენდა: ღუშეთის ზიღამო, აწინდელი ხევი, ხანდო, გუდამაყარი, მთიულეთი, და ხან ერწო-თიანეთი. ეს სამფლობელოები იმოდენად დიდები იყენენ, რომ ლაშქრობის დროს 15,000 შვიარაღებული კაცის გამოყენა შეეძლო. ეს სამფლობელოები თან და-თან დიდებობდნენ, რადგან ადგილობრივი ერისთავები ძალათ იფლობდნენ ხოლმე მახლობელ ადგილებს. არაგვის ერისთავები ძლიერ დაუმშვიდებელი იყენენ. მათ ხელში იყო ლარის გასაყალი და არაგვის ვიწრო გასაყალი ადგილები და იგინი ხშირად ეომებოდნენ ქართლის და კახეთის მეფეებს. ერისთავების მუდამ საცხოვრებელი ქალაქი იყო ღუშეთი; ანანური იყო გამაგრებული და აქ ინახავდნენ თავიანთ სიმდიდრეს და რაიმე ხიფათის დროს აქვე იფარავდნენ თავს: «აქ, ვახუშტის სიტყვისაგან, უწინდელს დროში ყოფილა პატარა ეკლესია, მაგრამ 1704 წ. გიორგი ერისთავს (რომელიც შესანიშნავია იმით, რომ თათრების სიამოვნებისათვის მიიღო მაჰმადის აღსარება, მაგრამ ღალატობისათვის იგი მოკლულ იქმნა თათრებისაგან ღუშეთში 1723 წ.) აღუშენებია დიდი და მშვენიერი ტაძარი გულბანით და გარს გაუკეთებია გალავანი; იმასვე მალლობს ციციბოზე აღუშენებია კოშკი და ციხე და ფიქრობდა, რომ ამ კოშკში და

ციხეში რაიმე უბედურობის დროს თავს დაიფარავდა, მაგრამ ამ კოშკში და ციხეში ამოწყვიტეს მისი შვილები». ამ სიტყვებით ვახუშტი უჩვენებს, თუ რა უბედური ბოლო ჰქონდა გიორგის შთამომავლობას, ხოლო ეს უკანასკნელი გარემოება ცხადათ გვიჩვენებს, თუ რა სასტიკი ხასიათისანი იყენენ საქართველოს ერისთავები. აი საქმე როგორ იყო: საქართველოს მეფის თეიმურაზის და კახეთის მეფის ირაკლის მეფობაში, ნადირ-შაჰის დროს, ქსანის ერისთავის შანშე იასეს ძმას, რომელსაც ცოლად თეიმურაზის ძმისწული ჰყავდა, არეულობისა გამო, თავისი ოჯახობით უნდოდა თავი შეეფარებია სადმე თეიმურაზის სამეფოში; მაგრამ გზაზე მას თავს თავსა არაგვის ერისთავის ბარძიმეს მილიცია და გაძარცვეს. ქსანის ერისთავმა შანშე იასემ 1739 წ. დაიჭირა ლეკები 12,000 კაცამდე, გარს შემოერთა ანანურის ციხეს, რომელშიაც ბარძიმე თავის ძმით და მახლობლებით ჩაკეტილი იყო. ჯარს ხელმძღვანელობდა თვითონ იასე და კულარგასი, ლეკებიდან და შანშეს მილიციიდან იმდენი კაცი დაიხოცა, რომ დანარჩენი ჯარის კაცები დახოცილების გვაშებისაგან თავს შესაფარეს აკეთებდნენ. დაბოლოს მათ ნახეს იმ წყლის გასაყალი, რომელიც ციხეში მიდიოდა და სხვა მხარეზე გადაუშვეს წყალი. ახლა კი იმედი დაჰკარგეს ციხეში ჩაკეტილებმა. ბარძიმეს შვილი უთხრათი გამოვიდა ცოლშვილით ციხიდან და ჩაიკეტა მეორე ციხეში, რომელსაც სახელად შეუბოგარი ერქვა. ბარძიმე დაიჭირეს და მოსჭრეს თავი და იმასთან მყოფნი შეიპყრეს. ქსანელები შეცინდნენ ციხეში, სადაც ჩაკეტლნი იყენენ ბარძიმეს მომხრენი, დაიკავეს ეს ციხე და ყველა იქ მყოფნი ამოჰლიტეს. უთერთი თავის ოჯახობით ციხეში გამოწვეს: ქალები, რომლებიც სიმაღლეებიდან გადმოცინდნენ შეუბრალებლად დახოცეს.

(შემდეგი იქნება)



რა კაცი ბილწმან ეშმაკმან ჰცნა ესრეთ
 განდიდებული,
 მალაღს პატრისა აღსრული დაადგებს დადგინებული,
 ლეთისა მიერის ნებითა ქმნილი და შეყვარებული,
 და აღიესო შერიოთ, შეიქმნა საკედადელ მოსწრა-
 ვებული.

ვესს მიაართო ნაყოფად თვის ბოროტ ხისა-
 ხილია,

თვისისა მხაკვარებითა დასხმული, დანერგილია,
 ურჩია: «თუმცა განიცილი, ჰგრძნობ ვითა გემო
 ტბულია,
 და ვინცა მიიღებს, იქმნების მჭამელი განღმთო-
 ბილია.

თვალს აღუხილავს მგემბებელს, ჰსცნობს ბო-
 როტსა და კეთილსა,

რად რომინებთ ვგრე ცუდად, ხართ პატრისა მოკ-
 ვეთილსა,
 თუ ისმინო სიტყვა ჩემი, შეხეალთ ადგილს ზესთა
 ქმნილსა,
 და თვით იქმნებით ღმერთნი მქმნელი, ბოროტს
 იწადთ თუ კეთილსა.

ამად გიბრძანათ არ ჭამა მის უცხოს ნაყო-
 ფისადა,

არ ჰნებავს თქვენი პატრიე, ეშინის გაღმრობისადა,
 ნუ ჰკარგავთ ღიღსა ღიღებას, ისმინე ჩემის თქმისადა,
 და ჭამე, და აღამს აგემე უცხოსა ამის ხისადა.

ზაკვით მხაკვარმან, მატურმან დაუგო მსე
 მახები,

ეტყოდა მალის მალობით, შემზადა სიტყვა მჭაზები,
 თუ გემოს ნახავთ, მერწმუნე ვერ ჰსჯობსო მუფა
 რახები,
 და რად არა გინათ განღმრობა, რად ხართ საქმიითა
 გლახები.

(შემდეგი იქნება).



საისტორიო მასალა.

ივანე ბატონაშვილას წინადადება გიორგი მე XIII-დამ
 მართმეულა 1799 წელსა.

(გავრქელება *)

შეთთქვამეტე. იუოს ნაიბად მეფისა ხაღბის
 მაყურებელი ქალაქებსა შინა, რომედ აღუადღენი,
 ანუ წონანი, ანუ სხვა ნივთნი ჯეროვანით ფა-
 სით ისუიდებოდეხ ხორავი და სხვანი ნივთნი
 დააქასიხარბე და სიყაღბე არა გამაჩნდებოდეხ
 რა და ეს გამინჯავდეხ უოველთვის და რიგს
 მისცემდეხ.

შეთთქვამეტე. იუოს ნასადრბაში, დამნაშა-
 ვეთა ესე მისცემდეხ საპურობილეთა შინა და
 დამავებითაც ეს დაამავებდეხ დამნაშავეს კაცსა,
 რავგარცა სამართალი მოუჭრიდეხ, და ამისაცა
 ხედქვემ უნდა იუვენე მოხედენი. აგრეთვე
 იუვენე ნასადრბი და ამათ ჰვეანდეხ უფროსი,
 ესენი რიგზედ დააქენებდეხ მაყურებელთა
 ხაღბსა, დროსს მეჯღმასს დასასწავლო-
 ბისა და ქორწინებისა და სხვათა სათამაშოთა
 შეკრებულეებისასა, რომე უბრალოდ ჩხები და
 უწესოება არა მოხდეხ რ, ესენი შეიპურობდეხ
 ამ გვარში ავად მომქცეველთ და მერხნებართა.

შეთთქვამეტე. მოურავები იუვენე ისევე
 მოუშლელად და ამათ ხედქვემე ჰვეთ მამა-
 სახლისნი, ნაცვლები, ქვესები და გზირები, და
 ესენიცა ხაზინადარს მისცემდეხ შემოსადღის
 ანგარიშსა.

შეთთქვამეტე. იუოს ასისბაში და ესე იცვამ-
 დეს ქალაქთა შინა დუქანთა დამე სახდებთა და
 ქარვასლებთა ქურდებისაგან, და მერხნებართ
 კაცთაც ეს შეიპურობდეხ, და თვისსა მოურავსა
 ესე ცხად უყოფდეხ მის ქალაქისა ერთგვართა
 საქმეთა, თუ ცეცხლი გაჩნდეხ, ესენი უშვე-
 ლიდნენ.

შეთთქვამეტე. იუოს უსაბაბაში, ამისგან განწესდე-
 ბოდეხ უსაბები, და სახაღბო საკლავის რიგის
 მიმცემი ეს იუოს, რომ არ ავლდეხთ ხაღბთა
 სახორცე.

1112

მეოცდამეტა. იუოს სირაჯბაში, და ამის დაკითხვით და ფასდებით იუიდებოდეფს დვინო. კარგი კარგ ფასში და ცუდი ნაკლებ ფასათ, აგრეთვე არაუი და სხვა სასმელები.

მეოცდაოთხე. იუოს ჩორაქჩიბაში (?); ფეკვილი ამისგან დაერიგებოდეფს ქალაქთა მეფურნეთა ჰურის მცხობეთათ, და ესევე განუწესებდეფს ფასთა, კარგს კარგობით და ცუდს ნაკლებ, და აქვდეფს ეს გვარი თადარიგი, რომ არ აკლდეფს ჰური მენ მცხოვრებთა ხალხთა, აგრეთვე ქერი, სიმინდი და ფეტვი ამის მიერ იუოს გასასყიდელი.

მეოცდამეცამე. იუოს ბაყალბაში, და ბაყლები ამის ხელქვეშე იყვენენ; და ამის ფასდადებით გაიყიდებოდეფს ერბო, ყველი, ბრინჯი, სამარხო, თევზი, ძველი და ახალი ხიზალა და სხვანი, რაც მედექნის რიგია შესაბამიერის ფასითა.

მეოცდაოთხე. იუოს მეწვრიმაღლეთა უფროსი, ამის ამაო გაიყიდებოდეფს, რაც საწვრიმაღლო რიგია: ჩაი, მაქარი, ყავა, ილი, მინაკი, დარიჩინი და სხვანი საეკიმო წამალნი და სხვანი საწვრიმაღლონი. აგრეთვე მიწის იარაღნი და ჩინისა.

მეოცდამეხუთე. იუოს სარაჯების უფროსი. ამის დაფასებით სამხედრო იარაღი, უნაგირნი, თოქალთო და ცხენის იარაღი ისყიდებოდეფს. აგრეთვე ფალნები.

მეოცდამეექვსე. იუოს ხარაზების უფროსი ამას გამო დაფასებით ისყიდებოდეფს ქოში, წუდა-წადაჩეკა და სხვა ფეხსაცმელი.

მეოცდამეოთხე. იუოს მექედების უფროსი, და ესეც ან სახით იქცეოდეფს, და წამოსასხმელს ტყავსაც ესევე დასდებდეფს ფასსა, ვითარცა ქუდსა.

მეოცდამეჩვი. იუოს ქურქების უფროსი და უოველი ბეწვეულის საქმე დაფასი ამას ეკითხებოდეფს.

მეოცდამეტხე. იუოს მეგრვალთ უფროსი და ამის მიერ, მიებარებოდეფს შევირდნი, და მეკერილთ ტანისამოსთა ესენი სდებდენენ ფასსა.

მეოცდამეტა. იუოს ნაღბანდების უფროსი, და ამას ეკითხებოდეფს უოველის გვარის ნაღის ფასი, და ეს აძლევედეფს რიგსა, რომ უოველთვის იუოს ნალი მზად, ვითარცა სამხედროთათვის, აგრეთვე გარეშე ხალხთათვის.

მეოცდამეტამეტე. იუოს ჩილინჯართ, ბიჩახებისა (?) და მჭედლებისა უფროსი. ამას ეკითხებოდეფს თოფისა, ხლმისა, ხანჯლისა და სხვათა კეთება, და ამასთან ჩახმახისა, ბუღდთა და ლურხმებთა და სხვათა საჩილინდროთა სახმარობათა ესე აძლევედეფს რიგსა უოველისა რკინის სახმარობისასა.

მეოცდამეტოთხემეტე. იუოს ბაზაზბაში. ესე დასდებდეფს ფასსა მაუდსა, ფარჩათა, ჩითთა, ლანთა, ბანბასა, მატყლთა და სხვათა საბაზროთა ნივთთა და იმ სახედ გაიყიდებოდეფს. კვალად განწესდეფს ერთი ვინმე კარგი კაცი, იმოოს ოსტატები მაუდის მკოებელი და პლინის მქსოველი, ესე იგი, ბანბის ხავერდისა, რადგან ორისავე მასალა ბევრი იმოვება ჩვენს ქვეყანაში.

მეოცდამეტათამეტე. იუოს დალაქებისა უფროსი, ესენი განსწავლიდენ შევირდებს კარგად, და ესენი მისცემდენ რიგსა სამართებელისა, ნემტართა და სხვათა სადალაქოთა სახმართა ნივთებთა. და ამათ მიერ წარივლინებოდენ სოფლებში დალაქები, რომ დროსა სისხლის გამოშვებისა, ანუ კოტომის მოკიდებისასა იყვენენ გამოცდილნი, რომ კაცი ან არ მოკლან უცოდინარობით და ან არ დააშაონ.

მეოცდამეტათხემეტე. იუოს უანთარჩიბაში, ესე იგი ამწონის უფროსი. ესე აწმონდეფს მძიმეთა საქონელთა, ვითარცა არის ჩვეულება, ამას ჰქონდეფს გასასყიდნი სასწორნი, ადღნი, საწ.

უაონი, ჩაფნი სპილენძისანი და ესე ვითარნი, ვითარცა არის დადებული იმდენ სტილიანნი, დაბეჭდილნი სამეფოს ბეჭდით, რომ ამა წონებში არავინ იუოს მოტყუებულ.

შეწოდამეთუხმეტე. იუოს მექვაბების უფროსი. ივინი მიიღებდენ სპილენძთა და აკეთებდენ ჭურჭელთა სახმართა, და ქვაბებს საარაყეთა, და ამათ მიერ ფასდებით გაიყიდებოდეს.

შეწოდამეთუხმეტე. იუოს ოქრომჭედლების უფროსი და ესე მისცემდეს რიგსა, და ხელფასსაც ესევე დაუნაშნავდეს ხელოსანთა, და ოქროსა და ვერცხლსა და სხვათა მეტაღთა ესე გაშინჯავდეს და ისრეთ გააკეთებინებდეს, თუ ვის რა უხმდეს, ხალასი თუ ყალიბი, ნდომისაბერ პატრონისა.

შეწოდამეთუხმეტე. იეოს მესანთლეების უფროსი. ესე დააფასებდეს წმინდა სანთელთა, ქონთა, სანთებთა ზეობთა, ნავთთა და ესე ვითართა, და ამას ევითნებოდეს კვალად საპოვნის გამოხარშვა; რათა ამისი სუნი არ დადგეს ქალაქთა შინა, და ეს დაუნაშნავდეს ადგილსა გამოსახარშვასა და ჩამოსხმულთა სამთელთაც ესე დასდებდეს გასასყიდ ფასსა.

შეწოდამეთუხმეტე. იუოს კალატონების უფროსი, აგრეთვე ქვისა საშენებლისა, კირის, აგურისა და გაჯისა უფროსი და ფასის დამდებელი.

შეწოდამეთუხმეტე. იუოს ტივის ხის მომპანთა, სახლებისათვის ფიცრებისა, ხუროებისა და დურგლებისა, ხარატებისა უფროსი, და ამას ევითნებოდეს სადურგლო საქმის გაკეთებისა ხელფასი და სხვა საჭიროება და გასყიდვა მათი.

შეწოდამეთუხმეტე. იუოს მეჭურჭელთ, თინისა, ქაშანურისა უფროსი, ამას ევითნებოდეს ყოველი მეჭურჭლის ხელობა, აგრეთვე მექვივრებისა და სხვათა და ესევე დასდებდეს ფასსა უცხო მხრიდანაც მოტანილსა ჭურჭელსა, და ესე გასასყიდვინებდეს.

შეწოდამეთუხმეტე. იუოს მხატვრების უფროსი. და ესე დასდებდეს ფასსა კაცთა, სახეებთა ფერადებთა და ვარაუთა! და ამის სიტყვით იმუშავებდენ სხვიდამ მოსულნი მხატვარნი და აგრეთვე აქაურნი.

შეწოდამეთუხმეტე. იუოს საზანდრების უფროსი. ამის ხელქვეშ იუოს ქალაქის ზურნა ნადარა და სხვა რაც გასასყიდი საკრავი გამოვა, და აგრეთვე სხვა ქვეყნიდან მოსრულნი საზანდრები ამის დაკითხვით იუვნენ აგრეთვე შინაურნი.

შეწოდამეთუხმეტე. იუოს ყაზაზების უფროსი, ესე მისცემდეს რიგსა ყაზაზთა, ძათისა, ბაბთისა და ზორნისასა და ფორთა; აგრეთვე სხვათა, ხელსაქმეთა და აგრეთვე საბღების მკრეხელთა.

შეწოდამეთუხმეტე. იუოს ქურდების უფროსი სახითა ამით: უკუთუ მოიპაროს ვინც რამ რა, და თუ იპოვებს, გარდახდება იმ ქურდსა ვითარცა წესაა, და თუ ვერ იპოვებს, შვიდდენ და შინხვეწენ დამკარგველი იმა ქურდისა უფროსსა; იგი ეძიებს, და ოდეს უპოოს, მისცენ თუმანზედ საპოვნელი ათი-შაური. და ესე განუყოფს ფულსა მას ადებულსა ქურდებისა, და ამით უფრო იპოვება. ხოლო ეს ქურდების უფროსი, ვითარცა მდვდეელი, აგრეთვე ვერ გამხელოს მომპარავსა, და ამით უფრო იპოვება დაკარგული საქონელი; და ეს უნდა იუოს სარწმუნო კაცი, დაფიცებული, რომ, რაც ქურდთ მიუტანონ ის ნივთი არ დამალოს.

აგრეთვე იუვნენ ხევის ბერნი, ქურდებისა და ავკაცთა ქართლსა კახეთსა შინა გარდამხდევნებელი. ჯარიმათი და ესენი მიაბარებდენ ნარბევთა ნარბევთა მათთა ხაზინადართა და ანგარიშსაც განუწმენდენ.

(შემდეგი იქნება)



პასუხი მ. ალექსი გიორგაძეს.

„ივერიის“ მე-№ 44-ში ჩვენ ვკითხულობთ შემდეგ წერილს მ. ა. გიორგაძისაგან ვაგზაენილს:

კვალის № 9-ში დეკ. დ. ღამბაშიძე გვისაუბრებს, რატომ ქუთაისის საზნაურო სკოლის მოსწავლეებიც არ გამოჭეკოთ კვლევისაზე საგალობლად. უნდა მოკახსენოთ მ. დეკანოზს, რომ ამ სკოლის მოსწავლეებმა სხვებზე ნაკლებად არ იცინ საეკლესიო გალობა, მაგრამ, მე, აქაური გალობის მასწავლებელი, კვირ-უქმათ ვალდებული ვარ, ვასრულებდე მღვდელთ-მსახურებას საქალბო წმ. ნინოს სასწავლებლის კგგლმ საიში და ამ მიზეზისა გამო უაგვლთვის ვერ გამოშვავს მგალობელთა გუნდი საგალობლად, ხოლო ხანდა-ხან-კი ინსპექტორას განკარგულებით გამოგვიკრთ მასლობელ კგგლსაიხედ და გგალობთ.

ჩვენ ძლიერ გვაკვირვებს მ. ალექსი გიორგაძის პასუხი, რადგან მის შეახებ არც ერთი სიტყვა არ სთქვა. და ვერ გავიგია თუ რასთვის შეუწუხებია თავი პასუხის წერისათვის? მართალია, მამა ალექსი გიორგაძე ასწავლის რუსულ გალობას ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში, მაგრამ ქართული გალობის სწავლებას როგორ შეიძლება ის, როცა ეს გალობა თვითონაც არ იცის! მ. ა. გ—ძე არას საღმთო სჯულის მასწავლებელი ქუთაისის დედათა სასწავლებელშია და მღვდელი ამავე სასწავლებლის ეკლესიისა. ყოველ კვირა-უქმე დღეებში იგი ვალდებულია თავის ეკლესიაში სწაროს, ხოლო საღვ დღეებში გაკვეთილებს აძლევს და როდეს შობას იგი იმ თავისუფალ დღეებს, როდესაც «მას ხსენებული სასწავლებლის ინსპექტორის განკარგულებით დაყავს საგალობლად მოწაფეები მასლობელ კგგლსაიხეში?» ჰო, ეს შეიძლება მაშინ, როცა ქუთაისის საქალბო სასწავლებლიდან მოწაფეებია დათხოვნილნი. მაგრამ ვკითხოთ მ. ალექსის, განა სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლენი კი დათხოვნილნი არ არიან ამ დროს? საჭიროა იცოდეს საზოგადოებამ, თუ რომელ მასლობელ კგგლ-

საიში აგალობებს ხოლმე მ. ალექსი მოწაფეებს? მართალია, სასაფლაოს ეკლესიაში, ამ დიდ-მარხვის პირველ კვირიაკეში, თავია 5—6 წლის მასწავლებლობის განმავლობაში მხოლოდ ორგზის მიუყვანია მგალობლები და უგალობნიათ კიდევ მარტო სერაბაზე და ცისკარზე, მაგრამ განა ეს მისი გალობა შეიძლება ქართულ გალობად ჩავთვალოთ? შეიძლება, მამა ალექსი, ვაზეთას მკითხველები დააჯეროთ, რომ თქვენ სხვაზედ ნაკლებად არ იტო ქართული გალობა, მაგრამ მკვიდრ მცხოვრებთ და ადგილობითი ეკლესიების კრებულთ ვერას გზით ვერ დაარწმუნებთ, რომ თქვენი გალობა ქართული გალობა იყოს. მოწაფეთა ზნეობრივ აღზრდა-განათლებას ის კი არ განამტკიცებს, რომ ზოგ მოწაფე უ რალაცა გადაჯუღუღებულ კილოზე ორიოდ საგალობელი დაასწავლოთ. საქმე ის არის, რომ სასწავლებლის ყველა მოწაფეებს შეეძლოს გალობა და ყველანიც დაიარებოდნენ ეკლესიაში წირვა-ლოცვის მოსასმენად. მ. ალექსი ბრძანებს: «მე ყოველთვის თავისუფალი არა ვარ და ამიტომ ვერც მოწაფეებს ვგალობებო». ნუ თუ აძენი ხნის განმავლობაში ისე ვერ მოამზადეს მოწაფეები, რომ მათ უთქვენოთაც შეეძლოთ გალობა?...

ღიად, ამ შემთხვევაში მოწაფეთაგან გალობის უცოდინარობაზე მეტად სამწუხაროა ჩვენი თავის მოტყუება. ჩვენს დაუდევნელობას, ჩვენს სიზარმაცეს და გულგრილობას ყოველივე საშუალებით ვფარავთ და ამ გვარად ჩვენს თავსაც და სხვათაც ვატყუებთ. ყველაზედ უფრო სამწუხაროა ჩვენთვის ამ გვარი სიტყვების მოსმენა საღმთო სჯულის მასწავლებლისაგან და იმ დროს, როდესაც მრავალნი მასწავლებლნიც სასარგებლოდ არ რაცხვენ მოწაფეთა ტაძრებში სიარულს წირვა-ლოცვის მოსასმენად!...

დეკ. დ. ღამბაშიძე.

ასალი ამბები და შენიშვნები.

23 თებერვალს მათმა ყოველად უსამღებელად-
 ლობამ იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა და ალავე-
 რდის ეპისკოპოსმა ბესარიონმა სწირეს ღვანკითის
 ეკლესიაში მათი უვანათლებულობის აღქმანდრე
 ბაგრატიონის სულას მოსახსენებლად. წარვის შემდეგ
 წესი აუტეს გარდაცვალებულს.

* *

სოფელს მათხაჯში, ხონის მახლობლად, დე-
 დათა საენე დაუარსებიათ. ამ საენეში შეკრბილა
 48 მონაზონი და თავიანთი მეცადინეობით შესაჟე-
 რად დაბინაებულან კიდეც. სრული იქვია, რა
 ეს ღვდათა საენე უკან არ ჩამარჩება თეკლათას
 ღვდათა საენეს. თეკლათის მონასტერში მშეკრბილად
 ჟაწყობილმა წირვა-ლოცვამ დაქართულა გალო-
 ბამ ჩვენ გაგვაკვირვა.

* *

თეკლათის მონასტრის ორი მონაზონი დადიო-
 დნენ მონასტრის სასარგებლოდ ფულების შესაკრებად.
 მაქვს ქართველის საზოგადოებას ექვსას მანეთამდე
 შეჟურება ამ მონაზონთათვის და სხვაგანაც დიდას
 პატივის ცემით ეს მოლოზნები დედებთ. ქეშპარიტად
 სასიხარულო ამბავია ეს ჩვენს დროში.

* *

ნახარებოვის მონასტრის წინამძღვარი არხიმან-
 დრიტი მ. იონა გადაყვანილ იქნა გურიისში შემო-
 კმედის მონასტერში, ხოლო მის ადგილზე დაინიშნა
 არხიმანდრიტი მ. ამბროსი. ჩვენ თვითონ ვნახეთ
 ნახარებოვის მონასტერი და მეტის მეტად გაგვაოცა
 ამ მონასტრის სიღარიბემ და სიღატაკემ.

* *

ზრუსიის სამღებულოების ჟამიჩები. მთელს
 ჰრუსიაში არს 8900 მღებულის ადგილი. ამ 8900
 მღებულში 21 ნაწილს ეძლევა თითოს წელიწადში
 10,000 მარკა (4,000 მ.); 17 ნაწილს თათაეულა
 არა ნაკლებ 720 მანეთისა.

* *

ჰრუსიაში წერა-კითხვის უკადინართა რიცხე
 თან-და-თან მცირდება. 1882 წელში 1000 ჯვარდა-
 წერილში მხოლოდ 39 კაცმა და 59 ქალმა ირ იკოდა
 წერა, რომ ჯვარის წერის საბუთებზე ხელი მოჟე-
 რათ,—1893 წელში კი 1000 ჯვარ დაწერილში
 მხოლოდ 15 კაცმა და 24 ქალმა არ იკოდა წერა-
 აგრეთვე ჯარში გაწვეულ ჰართა შორის წერა-კით-
 ხვის უკადინართა რიცხეს შესამწევად უკლავა. წო-
 ნეთ 1000 კაცზე ოცმა არ იკოდა თურქე წერა,
 დღეს კი 1000 კაცზე სამმა არ იცის წერა-კითხვა.

* *

საგრო განათლების საქმე ჩრდილოეთ ამერკაში.
 საზოგადოების სკოლების შესაწახვად მთავრობას
 დაუხარჯავს 1893 წ. 163,559,016 დოლარი, (200
 მილიონი მან.). ეს ფულები დახარჯულა მარტო პირველ
 დაწყებით და ზოგ უმაღლეს სასწავლებლების შესა-
 ნახვად. გარდა ამ ფულებისა დიდ ძალი ფული
 ინარჯება ეკლესიების საზოგადოებათა და კერძო
 ჰართაგან სხვა და სხვა სასწავლებლებზე, განსაკუთ-
 რებით უმაღლეს სასწავლებლებზე, რომელნიც
 კერძო ჰართა საშუალებით ინახებიან. ჩრდილოეთ
 ამერკაში საზოგადო სკოლებში მოსიარულე ყმა-
 წვილების რიცხი 1893 წ. ყოფილა 14,165,152,-
 ამათში 402, 189 ყმაწვილი სწავლობდნენ საშუალო
 და მოსამზადებელ სკოლებში, ხოლო 187, 682
 ყმაწვილი დადიდა უნივერსიტეტებში და ტენსო
 ლოგიურ სასწავლებლებში.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიან- ნაზრიც სარწმუნოებასა და კეთილ- ზნეობაზე.

ს ს მ შ რ ე ბ ა

ღირსისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა ჩვენისა
გიორგი მთაწმიდელისა,

საღმრთო წერილის ქართულს ენაზე მთარგმნელისა,
ათონის იეკობის საკანის კატიტორკისა და სწუღადად იეკობის
განმანათლებელისა.

ერთხელ ძილში მარიაშმა იხილა ბრწყინვალე
და ღიადრით შემოსილი კაცი, რომელმაც რქვა
მარიაშს: „ა დაგებადებათ თქვენ ძე, რომელიც
აღრჩიულია ღვთისაგან: შესწირით იგი მეუფესა
ქრისტეს თქვენი აღთქმისა მებრ და დაარქვით მას
გიორგი“. მარიაშმა, გამოიღვიძა თუ არა, ეს სიზმა-
რი სიხარულით უამბო თავისს ძეუღლეს. ორთავემ
ცრემლით მადლობა შესწირეს უფალს და ელოდნენ
სიხარმის აღსრულებას.

ცხრა თვის შემდეგ, 1014 წ., დაებადათ მათ
საღმრთო და ღვთისაგან აღრჩეული ყრმა, აღთქმუ-
ლი საუნჯე ივერიის ეკლესიისა. წმ. ნათლისღების
ღროს მშობლებმა, თანახმად სიხარმის ღროს ბრძა-
ნებისა, ყრმას სახელად გიორგი უწოდეს, რაიცა
ნიშნავს: მიწის მუშაკს. მართლაც, ამ საღმრთო კაცმა
განამზენა ივერიის ეკლესია თავისი სწავლით,
მოღვაწეობით და ნაწერებით. ყმაწვილი იზრდებო-
და სულის წმადის მადლით, როგორც სხეულით, ისე
სულით და პატარაობიდანვე აღვისილი იყო ღვთის
შიშით და სიყვარულით.

როცა გიორგი შვიდი წლისა შეიქნა, გზობ-
ლებმა აღასრულეს ღვთისადმი მიცემული აღთქმა,
იგი მისცეს იმავე მონასტერში, სადაც იზრდებოდა
მისი და. ყმაწვილი იზრდებოდა მონასტერში და

*) იხ. «მწეშისს» № 1, 1895 წ.

სწავლობდა საღმრთო წერილს თავისი დის თეკლე-
საგან.

გიორგი მეტად მშვენიერი პარისახისა და აგე-
ბულობისა იყო. მან სამი წელი იცხოვრა მონას-
ტერში, სულ ათი წლისა იყო, როცა იგი თავისი
მახვილგონებით და ქუთთ აკვირებდა ყველას.
გიორგის ნიჭი აკვირებდა როგორც შინაურებს და
მონათესავეთ ისე იმ პართ, რომელნიც მასს იცნობ-
დნენ.

გიორგის ჰყავდა ორი ბიძა, რომელნიც მას
მამაზე უხნესები იყვნენ. იგინი იყვნენ ღვთის-მო-
შიწნი და მოსაენნი. უმფროსი იყო გიორგი, რა-
მელსაც მწერალს უწოდებდნენ, ვინაიდან ოდესმე
წწერალთ უხუცესი ყოფილა მეფვის სასახლეში; ხოლო
უნცროს საბას ეახდნენ.

ორივენი სცხოვრებდნენ ხახულის მამაკაცთა
მონასტერში ღღის თანხმობით, ვინაიდან იგინი
დაჯილდოებულნი იყვნენ როგორც გარეგანი სიმ-
დიდრით, ისე სულიერად.

როცა ამ ღვთის-მოსავემა მღვდელ-მონაზვნებმა
შეიტყვეს თავიანთი ძმისწულის კეთილი თვისებანი,
მათ ხახულის საეანიდან მისწერეს თავიანთ ძმას
იაკობს, რომ მას დაუყოვნებლივ გაეგზავნა ან
თავთ მიეყენა მათთან მონასტერში თავისი შვი-
ლი გიორგი. იაკობმა დაუყოვნებლივ აღასრულა
ძმების ნება და თავისი ვაჟი წაიყენა ხახულის მო-
ნასტერში. იქ მიეიდა თუ არა, პირველად იაკობმა
თავისი ვაჟი შეიყენა ყოველად წმიდა ღვთისმშობლის
ტაძარში და ჩააბარა იგი ღვთისმშობელს, შემდეგ
ჩააბარა გიორგი ძმებს და თავის სახლში დაბ-
რუნდა. როცა ნეტარი ყმაწვილის ბიძებმა დაინახეს
გიორგის კეთილგონიერება და სინშვიდე, აღიესენ
სიხარულით და მადლობდნენ ღმერთსა. შემდეგ ბი-
ძებმა ყმაწვილი მიგვარეს მონასტრის წინამძღვარს
მაკარის. როცა წინამძღვარმა დაინახა ყმაწვილი,
აღიესო სიხარულით და აკურთხა იგი და უწოდა
მასს, თავის სულიერ შვილად; შემდეგ ყმაწვილი
მიგვარეს საკურთხებლად ერთ ღღ მოღვაწეს ეასილს,
ზაგრატის შვილს, ღღ მოღვაწეს და ივერიის ქვეყნის
მნათობს. როცა ამ მოღვაწემ აკურთხა ყმაწვილი,
შემდეგ იგი მიგვარეს ღვთის-მოსავე მ. ანტონის,
მნათობად წოდებულს, რომელმაც აკურთხა ყმაწ-
ვილი და მშვიდობით გაისტუმრა იგი. ამ სახით,
როცა ყველა მოღვაწეთაგან გიორგიმ მიიღო ლოცვა-

კურთხევა, ბიძები თავიანთი ძმისწულით შინ დაბრუნდნენ. ღირსნი მამანი, ყმაწვილას ბიძები, რამელთაც განიზრახეს მიეცათ ძმისწულისათვის შესაფერი ქრისტიანობრივი ზნეობრივი მიპართულება, სასარგებლოდ ქრისტეს ეკლესიისა, მიაბარეს იგი ერთს დიდ და მშაკარს მოღვაწეს, ილარიონ თულავეს, ანუ თულაღელს, რომელიც ბრწყინავდა როგორც ცხოვრებით, ისე უმაღლესი სულიერა განათლებით. ამ მოხუცებულს ჩააბარეს ყმაწვილი. მოხუცვა ღვთის განგებით შეიტყო, რომ ეს ყმაწვილი შემდეგში შეიქნებოდა ეკლესიის მშენებელი, მიიღო იგი და დაუწყაო სწავლება. გიორგი დიდის წარმატებით სწავლობდა საღმრთო წერილს, საეკლესიო გალობას, ბერძნულს ენას, ფალოსოფიას, რიტორიკას და ეკლესიურ ყოველივე წესებს და ყველა თავისა ტოლებს ჯობნიდა მასწავრობით და ჭკუით. რაც კი რამ წიგნი მოიპოვებოდა იმ დროს ეკლესიაში, არც ერთი წაუკითხავი არ დაუტოვებია გიორგის. უჩეტეს თავის ყურადღებას გიორგი აქცევდა ძველსა და ახალ აღთქმის ისტორიების შესწავლას.

ფეროზმა, ვასილი ბაგრატიდის დას ქპარმა, თავისი მეუღლით, რომელიც გამოჩენილი იყო თავისი ქველმოქმედებით, განიზრახეს მოენახათ ღვთის მოშიში და კეთილ ცხოვრების კაცი, რომელსაც შესძლებოდა მათი ხელმძღვანელობა სულიერს ცხოვრებაში და განუმორებლივ ეცხოვრა მათთან. ცოტა ხნის შემდეგ, ორიენი დათანხმდნენ აეყვანათ ზემოხსენებული გიორგი მწერალი, ნეტარი ყმაწვილის ბიძა, რომელშიაც ნახეს სასურველი საუნჯე, ამის შემდეგ დაუწყეს თხოვნა და ხვეწნა, რომ გიორგი მწერალი დაბინავებულიყო მათთან და მათი ხელმძღვანელი ყოფილიყო. ბევრი თხოვნის შემდეგ, და ბოლოს, მოხუცი დათანხმდა და წავიდა მათთან, ფეროზმა და მისმა მეუღლემ ყოველგვარ საქმე, როგორც სასულიერო, ისე შინაური ჩააბარეს მოხუცებულს. როცა მოხუცი ხახულის მონასტრიდან ფეროზის სახლში წავიდა, თან წააყვანა თავისი ძმისწული გიორგი. ყმაწვილი თავისი ბიძის ნუგეში იყო ყოველივე საქმეში, ვინაიდან ბიძა მისი ძლიერ მოხუცი იყო.

როცა კეთილმასხურმა მეუღლეებმა დაინახეს ყმაწვილის მართებულობა, გაეხარდათ, და ფეროზის მეუღლემ კიდევ იშვილა იგი; ყმაწვილი კარგა ხანს

დარჩა ამ კეთილმასხურ პირთა სახლში. ცოტა ხნის შემდეგ, მეფის ვასილი ეულგაროკრანის ბრძანებით, ფეროზს თავი მოსჭრეს ცილია წამებისა გამო, ვითომც მან უღალატა თავის ხელმწიფეს (უნდა შეენიშნოთ, რომ იმ დროს თრაქლეთის მარა ბიზანტიის გავლენისა ქვეშე იყო), ხოლო მისი მეუღლე, ხელმწიფის ბრძანებით გაკზავენეს კანსტანტინეპოლში, სადაც იგი დარჩა თარმეტი წელიწადი. საბერძნეთის სამეფოს სატანტუ ქალაქში გიორგის დედად წოდებულმა მიაბარა ყმაწვილი ფალოსოფიის და რიტორიკის სასწავლებლოდ საერო მსწავლულთ კარა, ანამედ წმ. მამეას, რომელთაც საფუძვლიანათ იცოდნენ ეს საგნები და მასთან შეანიშნაენი იყენენ ქველმოქმედებითა ცხოვრებით. ამ სახით თარმეტი წლის განმავლობაში გიორგი დიდის ბეჯათობით სწავლობდა ყველა მეცნიერებას და თავისი ნიჭით აკვირებდა თავისს მასწავლებლებს.

თარმეტი წლის შემდეგ, მეფის ოფიციალურა ბრძანების ძალით, ფეროზის მეუღლე, ქერიეი, დაბრუნდა უკანვე საქართველოში, თავისს მამულში, თვარათაში თრილეთში, და თანვე წამოიყვანა გიორგი. აქ ყმაწვილმა შეიტყო, რომ დედა-მისი გარდაცვალებულიყო, ხოლო მამა-მისი, როგორც ძლიერ მოხუცი და დასუსტებული, სცხოვრებდა თავის ძმასთან გიორგისთან თვარათაში. ყმაწვილი წავიდა ხახულის მონასტერში თავის ბიძასთან საბასთან და, როცა ის 25 წლის შეიქნა, ბერად აღიკვეცა. თუშკა პატარაობიდანვე იგი ნამდვილი ბერივით ცხოვრებდა, მაგრამ აქამომდე არ იყო მონაზუნად აღკვეცილო. იგი აღკვეცა ბერად ხახულის მონასტრის მოღვაწეთა მეუღაბნოვმ და მშვიებამ, ფრიად მოხუცებულმა, ნეტარმა ილარიონ თულავემა, რომელიც პირველად, როგორც ნათქვამია, გიორგის მასწავლებელი იყო მონასტერში შესვლის დროს. ეს მოხუცებული იყო პირველი მისი მასწავლებელი და კეთილი ცხოვრების მაჩვენებელი. მალე ამების შემდეგ ბერმა გიორგიმ განიზრახა პალესტინის წმიდა ადგილების თავყენისა საცემლად გამგზავრება. ასეთი განზარახვა აღიძრა მასში თვით ღვთის განგებულებით. თვით ღმერთი ხელმძღვანელობდა და იფარავდა ივერის მომავალს მნათობს იერუსალიმისაკენ მოგზაურობის დროსაც.

როცა ღირსი გიორგი იერუსალიმში მივიდა, მან დიდი მოწიწებით თავყენი სცა ყველა წმიდა ადგილებს. იერუსალიმში გიორგი ცოტა ხანს დარჩა,

შემდეგ უკანვე დაბრუნდა და ხელახლად თავის მასწავლებელ მოხუც გიორგისთან მივიდა. ცოტა ხნის შემდეგ მოხუცმა ჩაბარა გიორგის საღმრთო წერილის წიგნები, ბერძნულს ენაზე ნაწერნი და სთხოვა ამ წიგნების ბერძნულიდან ქართულს ენაზე თარგმნა. ღირსი გიორგი უფრობდა თავის თავზე ისეთი ძნელი მოვალეობის მიღებას, როგორც იყო საღმრთო წიგნების თარგმნა. მან მიუგო მოხუცს: მამო, არ შეიძლება ასეთი საქმის აღსრულება ღიათხროვით ჩვენან. ასეთი საქმე შეშვენის ღეთს მოშიშთ და ბრძენ პირთა, რომელნიც მზავანი იყვნენ ჩენი წმინდა მასწავლებლის ეფთხისა! ამაზე მოხუცმა უბახუხა გიორგის: «ჩემო შვილო, რგი, რომელმაც ის წმიდა მამა რამდენიმე გზით სიკვდილისაგან დაიფარა, მისცა მას ნიჭი ენათა ცოდნისა და ღეთის შემწობით წმ. ექვთიმემ საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ენა და შემდეგ ამ ენაზე თარგმნა სჯარათო წერილი, იგივე ღმერთი შეგვეწევა შენ სჯარათო წერილის გადათარგმნაში, ვინაიდან ღმერთს უყვარს და სწყალობს ჩენს ხალხს, ხოლო ჩვენ კი შევივედრებით წმ. ექვთიმეს, რომ მან შემწეობა აღმოგჩინოს შენ მისგან დაუსრულებელ საქმის დამთავრებაში.

(შემდეგი იქნება)

შეწირულებანი.

დავით აღმაშენებლის სასოფლავის სამლოცველოს გასანახლებლად და წმ. მარტოკო დავით და კონსტანტინეს კუბოს მასპობებლად ჩვენ მივიღეთ შეწირულება თავადი დიმიტრი მაყაშვილიდან **არბი მანეთი.**

თ. თავადი აბრამ იაგორის ძის ეაჩნაძისაგან და მათი მეუღლის ბარბარესაგან **სამი მანეთი.**

თ. შაალ მაყაშვილისაგან ერთი და ქალბატონის სოფიო ზაქარიას ასულის მაყაშვილისაგან **ერთი მანეთი.**

და სულ **შვიდი მანეთი.** ამ ფულები იყო დღემდის 3212 და ამ შვიდი მანეთით იქნება 3219 მან.

ი ს ქ ი დ მ ბ ა

კანცელარის ნივთების მაღაზიაში

ი. მურადოვის—ქუთაისში

უოკველგებრი რეკულები

პირველი ღირსების ასი ცალი ღირს 3 მან.

მეორე > > > » 2 მან.

ატრეტევე სხვა და სხვა ამ გვარი ნივთები ისყიდებიან ფრიად იაფად.

შინაბრძნი: აფიციალურად განუცხადება: უმაღლესი პრპანება.—საქარგელოს საეკსპარსოსოს სამღვდელთაგანის საცნობელად, სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად.—ნუსხა სასულიერო უწყებაში მოსამსახურე პირთა, რომელთაც დაენიშნათ პენსია.

საღვთაგანთა განუცხადება: მანწაღა მათხოვრები.—ანანურის ტაძარი.—შესანიშნავი ხელნაწერი.—საისტორიო მასალა.—ჰასუნი მ. ალექსი გიორგაძეს.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა-ძეგნაგება ქრისტიანობრივ საწმუნებებსა და კუთილ ზნეობასზე: ცნობება ღირსისა მამისა ჩვენისა გიორგი მოწმინდელისა.

შეწირულება.

განცხადება.